




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №96

2016 წელი 3 ოქტომბერი
ხაშური


ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშური, თამარ მეფის ქუჩა №9-ში
მდებარე ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2015 წლის 7 დეკემბრის №126 განკარგულებით დაამტკიცა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა. ნუსხის დამტკიცების შემდგომ უნდა მოხდეს პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება, რათა მუნიციპალიტეტმა შეძლოს ამ ობიექტების პრივატიზება. გამომდინარე აქედან საჭიროა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნას „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და “მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის № 669 დადგენილების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის ერთ ფურცლად).
2. პრივატიზაციის გეგმით გათვალისწინებული ობიექტების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ №5004597316 (29.08.2016) ექსპერტიზის დასკვნით.
3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშური, თამარ მეფის ქუჩა №9-ში მდებარე ქონების პრივატიზაციის გეგმა

1) დასახელება: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

1. მდებარეობა: ხაშური, თამარ მეფის ქუჩა №9 (საკადასტრო კოდი 69.08.58.236) ფართობი 3766 მ².

საწყისი საპრივატიზებო საფასური: 90 000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი.

აუქციონის ფორმა: პირობიანი ელექტრონული აუქციონი. გამომდინარე იქიდან, რომ მიწის ნაკვეთი მდებარეობს ხაშურის რკინიგზის სადგურის მიმდებარედ, შემსყიდველს ეკისრება ვალდებულება შეასრულოს შემდეგი პირობები:

- ა) უძრავი ქონების მესაკუთრე ვალდებულია დაიცვას საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები.
- ბ) ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის სამშენებლო სამუშაოების წარმოება წინასწარ შეთანხმებული უნდა იყოს სს „საქართველოს რკინიგზა“ - სთან.
- გ) საჭიროების შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია შესყიდულ მიწის ნაკვეთზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე ზემოდან) ხაზოვანი კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს მათი გადატანა.

აუქციონის შემდგომ საფასურის გადახდის პერიოდი: 15 კალენდარული დღე.